



სახალისო სპორტი

სანაპლიო არადღეობის შემდეგ, ამ დღეებში განახლებდა კალათბურთულ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. ბრძოლის გადამწყვეტ ფაზას, რომელიც ნახევარფინალებიდან დაიწყო, შემორჩა თბილისის ოთხი გუნდი — ფიზკულტურის ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და „შეგარდენი“. აღნიშნული კლუბები ერთ-ერთი შეხვედრას ჩაატარებენ და თუ საჭირო გახდა, მესამე მატჩსაც ითამაშებენ.

ნახევარფინალურ შეხვედრათა კალენდარი ასეთია (ოთხივე მატჩი მოწყობდა ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში):

29 სექტემბერი. 18 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტი — „შეგარდენი“. მსაჯები — გოგი ავალიშვილი (საერთაშორისო კატეგორია) და ზაზა ზამთარაძე.

20. ს. უნივერსიტეტი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. მსაჯები — მურმან ქურძე (საერთაშორისო კატეგორია) და როლანდ გელოვანი (საკავშირო კატეგორია).

30 სექტემბერი. 17 ს. უნივერსიტეტი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. მსაჯები — მურმან ქურძე (საერთაშორისო კატეგორია) და როლანდ გელოვანი (საკავშირო კატეგორია).

19 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტი — „შეგარდენი“. მსაჯები — გოგი ავალიშვილი (საერთაშორისო კატეგორია) და ზაზა ზამთარაძე.

ფინალური მატჩების თარიღებს მოგვიანებით გაცნობებთ.

„დინამოს“ თაოსნოებით თქვენთვის, ინვალიდათ!

საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაცია არაერთი სასიკეთო საქმის თაოსნად მოგვევლინა. დღიდან დაარსებისა ფედერაციის მიზანი იყო სპორტის სხვადასხვა სახეობებში ინვალიდთა ჯგუფების გახსნა. ამის შესახებ ვწერდით კიდევ და აი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს და მისი თავმჯდომარის პირველი მოადგილის ჯ. მიქელაძის თანადგომით ამ საზოგადოების ბაზებზე შეიქმნა სპორტული ჯგუფები, სადაც ინვალიდები ორგანიზმს გაიკეთებენ: მუშაობს ჯგუფები ქიდაობაში (ყოველდღეს 13-15 სთ), ცურვაში (ყოველდღე, კვირის გარდა, 13-14 სთ-მდე), მძლეობაში (ყოველდღე, 13-14 სთ-მდე, 15-16 სთ-მდე), ფეხბურთში (ყოველდღე 13-15 სთ-მდე), კალათბურთში (ყოველდღე 13-15 სთ-მდე), მაგიდის ჩოგბურთში (ყოველდღე 13-15 სთ-მდე), ძალისხერხეში (ყოველდღე, კვირის გარდა, 13-15 სთ-მდე), მშვიდოსნობაში (ყოველდღე, 15-17 სთ-მდე), საერთო გამაჯანსაღებელი (ყოველდღე 15-17 სთ-მდე, 17-19 სთ-მდე).

აღსანიშნავია, რომ „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ თავად გამოყო მწვრთნელები ჯგუფებისათვის, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე იმუშავენ. ესაა, მაგიდის ჩოგბურთის სპეციალისტი არ ჰყავთ და ამიტომ ინვალიდები თხოვნით მიმართავენ ავგოს, ვისაც აქვს გამოცდილება მწვრთნელობისა, დღეში ორი საათი გადადონ თავიანთი მოძებების დასახმარებლად.

საერთაშორისო ტურნირი გორში

გორის საქარაკო კლუბ „მთებში“ დაიწყო პირველი ქართული ოსტატის და საქარაკო მოღვაწის ვიქტორ გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი.

გორში ჩამოვიდნენ ფიდეკოსტატები დახილი ბიორინგი და ბულგარელი გუნდები, საერთაშორისო ოსტატები იუგოსლავიელი დრაგოილოვიჩი, ლენინგრადელი პოლოვინი, უნგრელი დიდოსტატი ვადარი, ხარკოველი საკონი, მოსკოველი კაიდანოვი, კიეველი პლატონი, აგრეთვე თბილისელი მოჭადრაკეები სტურუა, ჯანჭლაძე და ეფემოვი. ტურნირს შეუერთდნენ და დიდოსტატი უბილაძე, რომელიც ესპანეთიდან ჩამოვიდა.

ტურნირზე დაწესებულია 12 სხვადასხვა პრიზი.

პირველ ტურში პოლონიკმა დაამარცხა ბიორინგი. ჯანჭლაძემ და სტურუამ შეხვედრა ყაიმით დაამთავრეს. ასევე ყაიმით აღინიშნა ეფემოვი-დრაგოილოვიჩის, ვადანოვი-საკონის, პოლოვინი-კაიდანოვის პარტიები.

მეორე ტურში შესანიშნავად ითამაშა ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ თბილისელმა ლამა ჯანჭლაძემ, რომელმაც ლამაზ სტილში დაამარცხა დრაგოილოვიჩი. ეფემოვი მოუგო გუნდს, ყაიმზე შეთანხმდნენ საკონი-პოლოვინი, ბიორინგი-ვადანი, სტურა-პლატონი.

ორი ტურის შემდეგ 1,5-1,5 ქულით დაწინაურდნენ ჯანჭლაძე, ეფემოვი და პლატონი.

ტურნირში გათამაშდება ათი პარტია და 6 ოქტომბერს დამთავრდება. ტურნირის მთავარი მსაჯია ლილი წეროძე.

ილია თავედრაშვილი,
„ლელოს“ კორ.
გორი.

და კვლავ რამდენიმე სწორება

სულ მალე დოსაფის დახმარებით ამავე ფედერაციაში შეიქმნება ავტოკლუბი. თბილისის სპორტკომიტეტის სპორტულ ნაგებობათა სამმართველომ ინვალიდებისათვის გამოყო შემდეგი სპორტული ბაზები: ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი (კონსტრუქციის ქუჩა) ყოველდღე 6-დან 12 საათამდე; ქიდაობის დარბაზი (ჩუბინი-შეილის, 38) ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს 12-დან 14 საათამდე; ცენტრალური სანიტბოსი

ბაზა (სანაპირო) სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი, 18-დან 21 საათამდე; თბილისის ზღვა (საიალქო კლუბი) ყოველდღე 12-დან 15 საათამდე.

ასე რომ, ინვალიდებო, თქვენზე მზრუნველთა რაოდენობა დღითი დღე მატულობს. მიაკითხეთ სპორტულ ჯგუფებს. მანამდე კი დაწერილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონით: 93-75-14, საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტულ ფედერაციაში.

ბაზა (სანაპირო) სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი, 18-დან 21 საათამდე; თბილისის ზღვა (საიალქო კლუბი) ყოველდღე 12-დან 15 საათამდე.

გვჭირდება ხელის შეწყობა და... მოთმინება

გაუზინ რამდენიმე
დაუპაპავიდა საპარტიო მდიანს
და მოუპოვებელი ფეხბურთის
ფედერაციის პრაზინდენტი
ნოდარ ახალკაცი, რომელმაც
სურვილი გამოთქვა
კომუნისტური გააკეთებინა
„ნიკავსტილი“ გაუზინდელ
ნოდარზე გამოკვანდაზულ
ფარილთან დაკავშირებით.
ფარილის სათაურია „რა
მდგომარეობაშია ფეხბურთის
საპარტიო მდიანი“. კვირით
გთავაზობთ ნოდარ
ახალკაცის კომუნისტს.

— ბოლო ხანს საქავშირო პრესაში გამოჩნდა ცნობები იმის შესახებაც, რომ ლიტველები ითხოვენ თანამშრომლობას საქავშირო ფეხბურთის ფედერაციასთან. ამასთან, ასეთ ცნობებში აშკარად იგრძნობა ჩვენს მინიშნებას. ამიტომ კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო: ჩვენ ფიქრადაც კი არა გვაქვს საქავშირო ფედერაციაში დაბრუნება. ეს ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ უნდა იცოდეს. ჩვენი მიზანი ერთია—ფიფაში დამოუკიდებლად გავწევრიანება.

საქართველოს ფეხბურთის თავისი გზა აქვს და იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევადაროთ სხვათა გზას, ლიტვა იქნება თუ სხვა რესპუბლიკები. ლიტველები, რომლებიც ახლა ბალტიისპირეთისა და კალინინგრადის ოლქის გრ-

თობლივ ჩემპიონატში მონაწილეობენ, უკმაყოფილონი არიან ამ შეჯიბრებით. ეს მათი საქმეა, ჩვენს მოქმედებას კი სულ სხვა გარემო და სხვა ვითარება განაპირობებს.

გასულ შაბათს, იქნებ ნახეთ, საქავშირო ტელევიზიამ მოაწყო ტელეხიდი მოსკოვს, კიევისა და თბილისის შორის. დილოგში მოსკოვიდან მონაწილეობდნენ ვიქტორ პონედელნიკი და ანტონ კავაზაშვილი, კიევიდან — ოლეგ ბაზილევინი და ვოლენტინ შერბანოვი, ხოლო თბილისიდან ალექსანდრე ჩივაძე, ტატო ლასხიშვილი და მე. ისე წარმართეს გადაცემა, ძლივს მოვასწარი ჩვენნი პოზიციის გაცნობა და ისიც წაწილობრივ, ტექნიკური საშუალებებით გვაჩვენებდნენ.

ისე კი, მეტი დრო რომ გვექონოდა სალაპარაკოდ, ვიტყვოდი: მე არ მჭერა არც პონედელნიკისა, არც კავაზაშვილისა და არც ბაზილევინისა. ბაზილევინი პონედელნიკის მოადგილეა და იგი იმდენ დანაშაულს კეთებს სტუდიაში, რომ შერბანოვის ზედმეტი არ ეთქვა უკრაინის ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებზე. თან ამას წინათ არ იყო, პონედელნიკმა და კავაზაშვილმა ერთმანეთს ლაფი რომ დაასხეს საქავშირო პრესაში?

საექვოდ მეჩვენება პონედელნიკის ცნობა იმის შესახებაც, რომ იგი შეხვდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნიკოლოზ რიჟკოვს და ამ უკანასკნელმა ბევრი საკითხის დადებითად გადაჭრა აღუთქვა. მთელი ჩვეყანა რიჟკოვის გადადგომის მოითხოვს და ახლა მას ფეხბურთისთვის სცებოლა?

საერთოდ, პონედელნიკი ახლა ვიანქსლავ კოლოსკოვს ებრძვის და,

ცხადია, მისი ადგილის დაკავება უნდა.

ჩვენ კი არ ვებრძვივთ კონკრეტულად კოლოსკოვს, ჩვენ საკუთარი პოზიციების დასაცავად ვებრძვივთ. ჩვენი მიზანი, აკი ვითხარით, ფიფაში დამოუკიდებლად გავწევრიანება, კოლოსკოვი კი თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის შესაბამისად ამ საქმეში უნდა გვეხმარებოდეს, ჩვენს პოზიციას უნდა იცავდეს ფიფაში.

მე ამას ჩვენი გულშემატიკების გასაგონად ვამბობ, თორემ არც გვაქვს იმედი რამე გავაწყობოთ, რომ საქავშირო პრესაში ჩვენს შესახებ ობიექტური ინფორმაცია დაიბეჭდოს. და საერთოდ, ჩემი მოგონებით არ არის, ასე ვთქვათ, „საკავშირო ფოტოკორულის“ გამოანთქვამი: — „პრავდაში“ იხვეჭტია არ არის და „იხვეჭტიაში“ პრავდაა.

ახლა სუვერენიტეტის გზაზე და მდგარი თუნდაც რუსეთი და უკრაინა საკუთარ საჯარისო ფორმირებებს ითხოვენ, მაგრამ რა სუვერენიტეტზე შეიძლება ლაპარაკი, როცა საკუთარ საფეხბურთო ჩემპიონატსაც კი ვერ ატარებ? თუმცა, იმპერიის ნგრევა ისეთი ფორმითა და ტემპით მიდის, რომ ფიფაში მომავალში თვითონ უნდა შემოგვეთვალოს გავწევრიანების პირობები. ამიტომ ყველას ვთხოვ, სწორად აღიქვან სიტუაცია და გამოიჩინონ მოთმინება. ჩვენ კიდევ ას წელიწადს რომ გვეთამაშა საქავშირო ჩემპიონატი, ფიფას წევრი ვერ გავხდებოდით, ჩვენს მიერ არჩეული გზით კი მიზანს მივადევნებთ, ჩვენს ფეხბურთს კი — ხელის შეწყობა.

ჩაჩერა
გიორგი ჩოჩიყვილი

აზიადა მხოლოდ ჩინელებისათვის?


პეკინი. აზიის თამაშებზე (აზიადა) ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩინეთის ჰიმნი. სამი სამუშაო დღის განმავლობაში ეს მელოდია უკვე 31-ჯერ გაისმა, სულ კი ჩინელებმა სპორტსმენებმა 53 მედალი მოიპოვეს.

ძალისან ქალთა შეჯიბრებაში, მაგალითად, ყველა უმაღლესი წილად ჩინელებმა დამსახურეს. ახლა მათ პეკინის ფიცარბაზე ძალისან ვაჟები შეცვლიან, რომლებსაც ასევე ტურნირის მთავარ ფავორიტებად თვლიან.

ტანვარჯიშულ სარბიელზე კი

ამობრწყინდა ახალი ვარსკვლავი, 17 წლის ჩენ ცუიტინი. მსაჯებმა ამ ნიჭიერი გოგონას ვარჯიში ორჯერ 10 ქულით შეაფასეს. ცუიტინი აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. ვაჟებში აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედალი გადაეცა 20 წლის ლი ცუნს, რომელიც შტუტგარტის 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე იყო.

საერთო აღწერა ყოველი ფინალის შემდეგ ინფორმაციური აზიის ახალი რეკორდის დამყარებას იუწყება. ლაუტენტა შორის, რორეც წესი, უმრავლესობა თამაშების მასპინძლები არიან.



ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

ისინი კორტზე „დაუძინებელი მტრები“ იყვნენ, ცხოვრებასა და ყოველდღიურობაში კი ნამდვილი კაცური ურთიერთობით გამოირჩეოდნენ. ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელის სახელი ალექსანდრე მერტრეველმა სწორედ ესტონელ თომას ლეუსს ჩამოართვა, მერე კი გააგრილა ტრადიცია და საბჭოთა ჩოგბურთის ისტორიაში დღემდე არახალ წარმატებას მიაღწია.

მაშინდელ ჩოგბურთელს, ცხადია, არ ჰქონდა ისეთი პირობები, როგორც დღეს აქვთ წამყვან სპორტსმენებს. სულ იყო ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ საბჭოთა ჩოგბურთელებმა მეტი უნდა იმოგზაურონ უცხოეთში, ითამაშონ ტურნირები და მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება. მაგრამ სურვილი მაშინ სურვილად რჩებოდა და წამყვანი ჩოგბურთელები წელიწადში ერთი-ორჯერ თუ გავიდოდნენ უცხოეთში.

ამას ყველაფერს დღეს იმიტომ ვიხსენებთ, რომ 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა ჩოგბურთი დიდ საერთაშორისო სარბიელზე გავიდა და მოწინავე საბურთელებში, ფაქტობრივად, მთელ წელიწადს უცხოეთის კორტებზე ატარებდნენ, თანაც შესაბამის გასამრჯელოსაც იღებენ.

ასე რომ ყოფილიყო მაშინ, ლეუსისა და მერტრეველის დროს, ვინ იცის კიდევ რამდენ წარმატებას მიაღწევდნენ დიდ სარბიელზე? ამას რომ ვამბობთ, საბჭოთა ოსტატების აზრს ვიმეორებთ, რომლებიც დღესაც ამტკიცებენ, რომ მერტრეველის დროს ჩოგბურთელი ჩვენში ჯერ არ დაბადებულა.

სურამიანი ქველ სპორტული მეტოქეები თომას ლეუსს (ქართველს) და ალექსანდრე მერტრეველს გეიმებს შორის შეხვედრის დროს.

ის თვალდადებით წაიხიროს არა...

ოსტარბილი „სტარბილიან უინიუაჟი“

არის წინადადება!

საქართველოში

გაუმჯობესება

პატივი ვხვდებით!

პარტიულმა ბევრი თვალსაჩინო სპორტსმენი გვეყოლია, მათზე მრავალჯერ დაწერილა, პატივსაც საკადრისი მითითებით შედგენილი „სტარბილიან უინიუაჟის“ მაგარამ ამ მჭიდროდ დახვეწილი და მრავალფეროვანი მატარებელი. მის სულ ხუთჯერ ეცვა თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის მასური, არც წაგებული მატარებელი შეტრიალებულა სასიკეთოდ მისი წყალობით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მანაც გამოიჩინა იმ ახალგაზრდა ფეხბურთელთაგან, რომლებიც ცდილობდნენ დამკვიდრებულიყვნენ საქართველოს უძლიერეს გუნდში. ბევრი მათგანის მცდელობა ამოცანად აღმოჩნდა, ილიამ კი ეს შეძლო — ექვსი ალარავის ეპარებოდა, რომ იმდროინდელი ვასკოვსკების სახე გუნდში კიდევ ერთი ნიჭიერი კაპიტანი მოვიდა. და, ეს რომ დაემტკიცებინა, ილიას სულ რამდენიმე მატარება ჩატარება დასჭირდა...

ილია რუხაძეს რამე განსაკუთრებული სტრუქტურები არ ჩაუწყობია ქართული ფეხბურთის მდიდარ და მრავალფეროვან მატარებელში. მის სულ ხუთჯერ ეცვა თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის მასური, არც წაგებული მატარებელი შეტრიალებულა სასიკეთოდ მისი წყალობით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მანაც გამოიჩინა იმ ახალგაზრდა ფეხბურთელთაგან, რომლებიც ცდილობდნენ დამკვიდრებულიყვნენ საქართველოს უძლიერეს გუნდში. ბევრი მათგანის მცდელობა ამოცანად აღმოჩნდა, ილიამ კი ეს შეძლო — ექვსი ალარავის ეპარებოდა, რომ იმდროინდელი ვასკოვსკების სახე გუნდში კიდევ ერთი ნიჭიერი კაპიტანი მოვიდა. და, ეს რომ დაემტკიცებინა, ილიას სულ რამდენიმე მატარება ჩატარება დასჭირდა...

მესხებისა და მეტრეველების შემყურედ ძნელად რომ თვით დაამახვირო. ეს რომ შეძლო, არაერთგზის უნდა დაამტკიცო შენი სიძლიერე. იშვიათი გამოჩენილობის ილია რუხაძეცა, რომელსაც ხშირად მოიკითხვენ ხოლმე გულშემატკივრები და სევდანარევი ხმით კითხულობენ: სად არის ნეტავის ბიჭი? ცოტაც რომ დასცლოდა, ვინ იცის!...

სწორედ ამისთვის მოვიხატეთ ილია, რათა კვლავ შეახსენოს თავი გულშემატკივრებს:

ალმაზის ყველაზე მეტად ცხოვრების იმ ეპიზოდის გახსენება არ სიამოვნებს, რომელმაც ხელი შეუწავლა სანუკვარი მიწის განხორციელებაში, შე მანაც გთხოვ გაიხსენო, ის ავადმოსავლენი წამი.

— 1978 წლის 22 ივლისს იყო. ოდესაში „ჩერნომორცს“ ვხვდებოდით, რომელიც ლიდერთა ჯგუფში იმყოფებოდა. მწვრთნელმა თავიდანვე გამოიყვანეს მინდორზე, ეს იყო ჩემი მეოთხე მატჩი „თბილისის“ დინამოს ძირითად შემადგენლობაში. მიმდინარეობდა თამაშის მე-15 წუთი, ბურთი ჩვენს საჭარბოში ტრიპლდა. ერთ-ერთმა მცველმა ჩაშალა ოდესელთა შეტევა, ბურთი კუთხურის ხაზისკენ გაგორდა. მე, ჩვენი მეკარე დავით გოგია და მას-

მიწვევს, ორიოდე წელიწადში საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული გუნდის კაპიტანი ვიყავი. ბენსონოვი, ხიდიატულინი, ვიჩესლავ ჩანოვი, ბალი, — ამ ფეხბურთელებთან მიწვევა თამაში. 1976 წელს მივედი „დინამოში“. თავი სიხარულით შევხარე, ისე სწრაფად და მოულოდნელად მოდიოდა წარმატებები, და ასევე სწრაფად — სიხარულით დასრულდა ყველაფერი.

მაგრამ დახასრულამდე იყო დასაწყისიც...

— ნამდვილ დასაწყისად 1978 წლის 1 ივლისს მივიჩნევ. მართალია, ამ დროისათვის „დინამოში“ თამაშის უკვე ორი წლის სტაჟი მქონდა, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტნობაც მოვასწარი, მაგრამ სულ სხვა იყო პირველი მატჩი „დინამოს“ პირველ გუნდში, რომელიც თბილისში შედგა მო-



ეს სურათი 1978 წლის 1 ივლისს არის გადაღებული. ასრულდა ახალგაზრდა ფეხბურთელის ოცნება — ორიოდე წუთიც და შედეგად ილია რუხაძის დებიუტი დიდ ფეხბურთში...

სკოლის „ლოკომოტივთან“. სასტარტო შემადგენლობაში მეც გამიყვანეს. ვლელავდი, მეგონა რაღაც უსამელო შეცდომას დავუშვებდი, თუმცა მატჩის დაწყებისთანავე დავეწყარდი და მთელი ძალით ავითამაში. როდესაც მეტოქის ბურთს ავართმევდი ან რამე ლამაზ საფეხბურთო ილეთს შევასრულებდი და მაყურებელი ტაშს დამიკრავდა, სახარულსაგან მინდოდა გავტყუებოდი.

ლიყავი მინდვრიდან, ტრიბუნაზე ავეწინილიყავი და თითოეული მაყურებელი გულში ჩამიკრავდა. ის შეხვედრა მოვიგეთ — 2:0. მასობის, ორივე გოლი რეზო ჩელევაძემ გაიტანა, რომელიც ტრავმირებული ყოფიანის ნაცვლად შემოვიდა მთლიანად. როგორც მოგვიანებით მითხრეს, იმ დღეს ცუდად არ მითამაშია. მართლაც, ბედნიერება იყო ჩემთვის მანუჩარ მაჩაიძის, დავით ყიფიანის, ვლადიმერ გუცაევის, ვიტალი დარასელიას გვირდით თამაში. ამ დიდებულ ფეხბურთელებს სხვა არაფერი ჰქონდათ საფეხბურთო, გარდა იმისა, თუ როგორ დამარცხებნათ მეტოქე. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ჩამოსხდებოდნენ, გვეგებს აწყობდნენ, ათასჯერ გათვლილ ვარიანტებს ათასმეტრულ დაქვევდნენ განსჯის საგნად, თითო-ორილა ჰქუის-დასარტყებელ, მოზომილ სიტყვას ახალგაზრდებსაც „გადმოგვიგდებდნენ“, ოღონდ ისე, რომ შეურაცხყოფილად არავის გვეგართო თავი.

დღევანდელ გუნდზე, ქართული ფეხბურთის ამაშინებელ მდგომარეობაზე რას გეტყვით?

— „იბერია“ ჩემი სათაყვანებელი გუნდია და მისი ყოველი წარმატება გულს მტკავს. უყოყმანოდ მხარს ვუჭერ საქართველოს დამოუკიდებელ ჩემპიონატს, მაგრამ, ისიც ვიცი, რამდენი რამაა გასაკეთებელი — დაუყოვნებლივ უნდა გამოიხსნოს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციებისაგან მიმავალი უმოკლესი გზები. დროა, ანებდეთ ბავშვთა ფეხბურთსაც, ნიშნით, არც ერთ ქვეყანაში არ იკარგება იმდენი ტალანტი, რამდენიც საქართველოში. თუ ეს საქმე დიდხანს არ მოვაგვარებთ, სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

დაბოლოს, ილია, ვიცი შენი პატარა თორნიკე „ფეხბურთელი“ მამის ხელმძღვანელობით საფეხბურთო კლუბ „მერანში“ ეუფლებოდა ფეხბურთის ანაზის. იქნებ თორნიკეში პაპოვს ასრულება მამის აღზრდილობა ოცნებებშია?

— სხვათა შორის, თორნიკეც მარჯვენა მცველად თამაშობს...

ილიამ მეტი აღარაფერი თქვა შვილის მომავალზე. შევატყე, მოგონებებში ჩაიბნინა. ვინ იცის, იქნებ პირველი ივლისი გაახსენდა, სადებიუტო მატჩი „დინამოში“, ანდა დათარსული 22 ივლისის ოდესური საღამო — დიას, პირველი და 22 ივლისი — მხოლოდ 22 დღე „სტარტიდან ფინშიმდე“.

სამწუხაროდ, ილია რუხაძის საფეხბურთო გზა ხანმოკლე და სევდიანი აღმოჩნდა, მაგრამ ქართულ ფეხბურთში მის მიერ დაჩენული მოკრძალებული კვალი მაინც ახსოვთ გულშემატკივრებს.

ლევან ჯაფარიშვილი

ბალის რაიონის სოფელ ოქუშის კოლმეურნეობის გუნდი „ნაპერწკალი“ (მწვრთნელები შოთა შამათია და გია ჩხაბელია) აფხაზეთის 1990 წლის ჩემპიონია ფეხბურთში!

ჩემპიონატი ჩატარა აფხაზეთის სპორტსაბჭოში. მეორე ადგილზე გავიდა ბიჭვინთის გუნდი (მწვრთნელი ვიტალი ლოგუა), მესამეზე — გალის რაიონის სიდას ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდი „იმედი“ (მწვრთნელი რევაზ შამუგია).

აღსანიშნავია, რომ ოქუშის გუნდმა 8 წლის შემდეგ დაიბრუნა აფხაზეთის ჩემპიონობა.

ინფორმაცია მოგეგწოდა ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა გ. პოლონიანმა.

სურათში: — „ნაპერწკალის“ ფეხბურთელთა გუნდი.



მოსკოვში დამთავრდა ვეტერანთა სპორტული კლუბის „როსის“ მიერ ორგანიზებული, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ე.

სტრელკოვისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირი. პირველი პრიზი მოიპოვა ვეტერანთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ნ. დემენტოვი, ვ. ვოროსილოვი, ნ. პოსულკო, ა. შესტერნიოვი, ი. ფლანინი და სხვები.

იტალიის განვლილი მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის სარგანინაციო კომიტეტის შეფილუკადი მონტეკემპოლო იტალიის ცნობილი კლუბის „იუვენტუსის“ ვიცე-პრეზიდენტი გახდა. ლ. მონტეკემპოლომ განაცხადა, რომ კლუბის საქმიანობას იგი საფუძვლიანად გადააზალისებს.

იტალიის ნაკრების მეკარე ვალტერ ძენგა მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ მიიჩნის. მან 72 ქულა მოაგროვა სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვაში. მოკლევნი ადგილებზე გადინენ ბელგიელი მიშელ პრიულომი (35 ქულა) და კოსტარიკელთა მეკარე ლუის კონგო (34).

უანკატის სპორტულმა კლუბმა „პონედმა“ მოაწერა ხელი კონტრაქტს ფრანგულ საავტომობილო ფირმა „რენოსთან“ სპონსორობაზე. ფრანგის ფეხბურთელები ამიერიდან „რენოს“ რეკლამით გამოვლენ, ამ სპონსორობამ წინაშეწოდებულ გააუმჯობესა კლუბის ფინანსური მდგომარეობა.

მსოფლიო ჩემპიონთა მწვრთნელი ფრანკ ბეკენბაუერი (გფრ) ამ დღეებში საფრანგეთის ტელევიზიით გამოვიდა და ილაპარაკა „მარსელის“ საფეხბურთო კლუბის თაობაზე, რომლის ტექნიკურ დირექტორადაც იგი ამჟამად მუშაობს. ფ. ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ კმაყოფილია კლუბის მფლობელის, ცნობილი მილიონერის ბერნარ ტაპის საქმიანობით და იმედოვნებს, რომ „მარსელში“ საფრანგეთის ჩემპიონობას მოიპოვებს.

1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი, არგენტინელი მცველი ხოსე კუსიფო „ბოკა ხუნიორსიდან“ საფრანგეთის „ოლიმპიკ ნიშში“ გადავიდა. წლებადგული მსოფლიო პირველობის მონაწილე ხოსე სერიოსელა („რივერ პლეტი“) მოლაპარაკებას ამთავრებს „ნიცასთან“. იქვე, სენ ერმენიდან გადმოიყვანეს კიდევ ერთი არგენტინელი. 1990 წლის მსოფლიო ვიცე-ჩემპიონი გაბრიელ კალდერონი. არგენტინელებზე გაამახვილა ყურადღება „ტულუზამაც“. მარსიკოსა და ფოსნეკას დაემატა „ფეროკარისი“ თავდასხმელი აკოსტა.

ბათუმის საფეხბურთო კლუბი „ბათუმი“ ეროვნული ჩემპიონატის დასაწყისიდანვე ლიდერთა შორისაა. ფეხბურთელები და გუნდის ხელმძღვანელები ყოველმხრივ ცდილობენ კარგი თამაშით სიამოვნება მიანიჭონ გულშემატკივრებს. მაგრამ დღეს სხვა დროა, ეროვნული ჩემპიონატი შეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს და მაყურებელს სხვა მხრივაც პატივი უნდა ვცეთ. როგორ გამოიყურება დღეს ბათუმის სტადიონი?

სექტორები დაუსუფთავებელია, სკამები — შეუღებავი; არ მუშაობს ელექტროტაბლო, ელემენტარული სამუშაო პირობები არ არის პრეს-ლოჯში; მოუწყობელია ტელე და რადიოკომენტატორების კაბინები. გულშემატკივარი ყველაფერს ხედავს და იმას სვგრებს. ბევრ მათგანს დღემდე ვერ დაუქოყვებია ის ყბადღებელი 50 000 ერთგულების ლატარის გაყიდვის ამბავი, ორმა კაცმა რომ შეიძინა ერთბაშად.

ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ამჟამად სვრდებს მეტოქე კლამა. საჭიროა ბათუმის ახლომხლო რაიონებშიც გაიზავნოს და გაიკრას აფიშები მატჩის გამართვამდე ერთი კვირით ადრე სწორედ რეკლამის საშუალებით უნდა შეამზადონ გულშემატკივარი მომდევნო ტურისათვის.

ბუნებრივია, მხოლოდ ჩამოთვლილი საკითხების გადაჭრით არ შეიძლება მოველოს ამ მეტად მტკივნეულ პრობლემას, მაგრამ, სტადიონის დორეკონსტრუქციამდე ყურადღება და სიმარჯვე გამოიჩინოს, საქმე უფრო წინ წაიწეოს.

სწორედ ამის შესახებ იყო საუბარი ბათუმის მეზღვაურთა კლუბში, სადაც საფეხბურთო კლუბ „ბათუმი“ წარმომადგენლები გულშემატკივრებს შეხვდნენ.

— ფინანსურად გვიჭირს, — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა რევაზ ჩელევაძემ, — თუ სტადიონის გადმოგვიკვებ, მაშინ ერთგულების ლატარის, აბონემენტებისა და გაყიდული ბილეთების მთელი შემოსავალი ჩვენ დაგვრჩება. სტადიონსაც უკეთესად მოვუვლით და ალარც ივარის საფასურს გადაიხდით. როდემდე უნდა ვიყოთ წარმოება-დაწესებულებების იმედზე? დიდი მადლობა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, რომელმაც 200000 მანეთი გადმოგვირიცხა და 100000 მანეთის საატრაქციონო დანადგარები შეგვიძინა, მაღლობის მეტი რა. გვეტყვის სხვა ორგანიზაციებისა და კოოპერაციების მიმართაც, რომლებიც ყოველთვის მხარში გვიდგანან, მაგრამ დროა ჩვენვე ვიფიქროთ საკუთარ თავზე.

რ. ჩელევაძემ კლუბის სახელით, თხოვნით მიმართა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, რათა უწყებებში დაისვას საკითხი გუნდისათვის სტადიონის გადაცემის თაობაზე. აღინიშნა ისიც, რომ „ბათუმი“, ჭერჯერობით საკუთარი ზაზა არ გააჩნია, არადა, საგრძობლად ქუთხურდება მშენებლობისთვის ადგილის გამოყოფა.

პრობლემები მრავალადაა. ასეთ პირობებში თამაში და ლიგის ლიდერობა კი არცთუ ადვილი საქმეა.

მუხრან კობალაძე,
„ლელოს“ საქ. კორ. ბათუმი.

გულგრილი „პოლიტიკა“ ფიზიკის შესახებ

„ჯოხს ლეგენდად დარჩის“ ...

თქმა არ გაეა, რომ დასავლეთ ევროპის პოპულარული სპორტული ჟურნალი-გაზეთების ფურცლებზე არ დაიბეჭდოს რაიმე ინფორმაცია ლეგენდად ქვეყლი ამერიკელი მოჭადრაკის რომბრტ ფიშერის შესახებ. და აი, კიდევ ერთი ახალი ცნობა:

ბელგარდის გაზეთმა „პოლიტიკა“ გამოაქვეყნა წერილი მსოფლიო ექსპერიმენტის ევროპაში ჩამოსვლის თაობაზე. როგორც გაზეთი იუწყება, ჯადრაკის მოყვარულები და სპეციალისტები ახლა ბერს ბუბენ იმაზე, რომ, თითქმის ფიშერმა ცნობილი დიდოსტატების — ბორის სპასკისა და იან ტიბანის თანდასწრებით გაარჩია ვარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის პარტიები, რითაც კიდევ ერთხელ გვიჩვენა თავისი მეტად ღრმა და მიუწვდომელი საჭადრაკო განსწავლულობა.

თამაშს, მაგრამ შემდეგ თავად ფიშერმა გადაგვიწერა ყოველგვარი იმედი. რა თქმა უნდა, ახლაც შეიძლება გვინდეს თამბისტური მოსაზრება ამ საკითხზე. მაგრამ მისი დასაბუთება ძალზე ძნელია. ლეგენდები ფიშერზე, მისი უცნაური ცხოვრების წესი და ასევე უცნაური პიროვნება მიგვაჩვენებს, რომ ფიშერის საჭადრაკო სარბიელზე დაბრუნების არავითარი შანსი არ არსებობს.



რობერტ ფიშერი

მეორე იუგოსლავიელი დიდოსტატი, სვეტოზარ გლიგორჩი კარგა ხანს მეგობრობდა ფიშერთან, რომელიც თორმეტი წლის წინათ კიდევ ესტუმრა მას ბელგარადში. მაშინ ჯერ კიდევ იყო იმედი ამ ორ დიდოსტატს შორის მატჩის გამართვისა. მაგრამ ეს წამოწყებაც ჩაიშალა. გლიგორჩიმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ მას ამჟამად ფიშერთან არავითარი ურთიერთობა არა აქვს. თუმცა მანამდე, ფიშერის ბელგარადში ჩამოსვლაზე, მათ მიმართავდა კი ჰქონდა. — ჩემი ბრალია, რომ ფიშერს ერთი სტრიქონიც არ მივწერე. გულახდილად რომ ვთხრობ, ამის არავითარი სურვილი არ მქონია. ამედი მაქვს, ჩვენი კარგი ურთიერთობა ამით არ დაჩრდილდება. ძალზე მოხარული ვარ, რომ ფიშერს კიდევ გაუჩნდა სურვილი ევროპაში ჩამოსვლისა. სასიამოვნოა, რომ იგი შეხვდა სპასკისა და ტიბანს, სპასკი და ფიშერი უწინაპრებზე იყვნენ და ამ ტრადიციას ახლაც აგრძელებენ, — თქვა გლიგორჩიმა.

ბოლოს „პოლიტიკას“ მოჰყავს დიდოსტატს საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელის ბესელ კოკის აზრი ფიშერის. ჯადრაკში დაბრუნების თაობაზე:

— დიას, ჩვენ ამის შესახებ ვისაუბრეთ, მაგრამ ჯადრაკის პოპულარობისათვის ჯობს ფიშერი ლეგენდად დარჩეს — განაცხადა კოკმა.

ზოგი რამ საინტერესო ფიშერის შესახებ ამერიკულ პრესაშიც გამოჩნდა. ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ 15 წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც მას მსოფლიო ჩემპიონობა ჩამოერთვა და „საჭადრაკო პორიზონტიდან“ გაქრა“. მათ გადაწყვიტეს როგორმე შეხვედროდნენ ფიშერს და ბოლოს და ბოლოს გაერკვიათ, რატომ გაქრა იგი საჭადრაკო სამყაროს.

47 წლის ფიშერს ვერსად მიავნეს. ამიტომ ჟურნალისტები დაუკავშირდნენ იმ ადამიანებს, ვისაც მასთან მცირე კონტაქტი მიეცა ჰქონიათ.

აი რა განაცხადა ფიშერის ყოფილი სპარინგ-პარტნიორმა ჰარი სნიდერმა:

— ფიშერის „დამალობანას თამაშის“ მიზეზი გახლდათ ის ავადმყოფური წარმოდგენა, თითქმის მასზე საბჭოთა საიდუმლო სამსახურის წარმომადგენლები ნაღობებდნენ, რომელთაც მისი ციმიბრში გადაკარგვა უნდოდათ. ამ აკვირებულმა აზრმა პოლიანად შეჭრათ მისი ფსიქიკა.

ფიშერის ერთ-ერთმა მეზობელმა ქალმა კი ჟურნალისტებს შემდეგი აუწყა: თავისი ბინის კარებს ფიშერმა ოთხი კლიტე დააღო (?). სახლს მხოლოდ ღამით ტოვებდა, ნიღბ-კოსტიუმით მორთული. სახეს წვერი, უღვაშები და დიდი სავალეები უფარავდა. საჭმელს ტელეფონით სუპერმარკეტში უყვებოდა, რომელსაც მიმტანი მის კარებთან დებდა. კარებს არავის უღებდა.

დაბოლოს, ევროპაში თავისი ამასწინანდელი ხანმოკლე ვიზიტის დროს ბრიუსელში ფიშერმა დამსწრეთ უჩვენა მის მიერ მოზაზადებული ახალი საჭადრაკო საათის მოდელი. იგი ამტკიცებდა, რომ, როცა მოჭადრაკე მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს გადააპარებებს, მას კიდევ უნდა მიეცეს დამატებით ორი წუთი.



ნა-ს პროფესიულ კალათბურთელთა ლიგაში დღესდღეობით სამი იუგოსლავიელი თამაშობს: ვლადე დივაცი („ლოს-ანჯელეს ლიგისში“), დრაჟენ პეტროვიჩი („პორტლენდ ტრილ ბეილზისში“) და ეარკო პასპალი („სან-ანტონიო სპურსში“). სავარაუდოა, რომ მათ სტოიან ვრანკოვიჩიც მიემატება. საქმე ისაა, რომ „ბოსტონ სელტიკსმა“ ვერ გადაიყვანა იუგოსლავიის ნაკრების ცენტრალური თავდასხმელი დინო რაჯა. უფრო სწორად, მათ შეთანხმება უკვე გაფორმებული ჰქონდათ, მაგრამ ამერიკის სსსამართლომ გააუქმა კონტრაქტი, ვინაიდან რაჯას თავისი კლუბის „იუგოპლასტიკასთან“ რაღაც ვალდებულებები ჰქონია.

აი სწორედ ამის გამო, ბოსტონელთა არჩევანი შეჩერდა მეორე იუგოსლავიელ კალათბურთელზე — ვარანოვიჩზე (214 სმ), რომელიც საბერძნეთის „არისში“ თამაშობდა. ამ ზაფხულს იუგოსლავიელი კალათბურთელი იმყოფებო-

პროფესიონალთა პროლეტარატი

და ბოსტონში, კლუბის საწვრთნელ ბაზაზე. იქ შედგა საბოლოო შეთანხმება და გაფორმდა ორწლიანი კონტრაქტი ერთ მილიონ დოლარზე. რაც შეეხება რაჯას, იგი მინც არ დარჩა „იუგოპლასტიკაში“ და რომის „მესაჭეროში“ გადავიდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში აბიურეს გადასვლას ავსტრალიის კალათბურთის „ფარსკლავი“, „მე-ლბურნ ტაიგერის“ 25 წლის თავდასხმელი ენდრიუ გეიზა (სიმაღლე 198 სმ). იგი „პორტლენდის“ პროფესიონალთა კლუბს აპყავს, მაგრამ, როგორც გაირკვა, გეიზა სერიოზულად არის გადაღობილი და ექიმებმა ჭკრილობით კატეგორიულად აუკრძალეს თამაში. „პორტლენდმა“ ავსტრალიაში საკუთარი ექიმი მიავლინა, რომელიც კონსულტაციას გაუწევს კალათბურთელს მკურნალობისას. პროფესიული კლუბის ხელმძღვანელთა განცხადებით, ავსტრალიელი თავდასხმელი გუნდს ჰაერითი სკირდებმა, ვინაიდან გეიზა გამოირჩევა ფენო-მენალური სნაიპერული ტყორცებით — ყოველ მატჩში საშუალოდ 37,6 ქულა.

ალგათ დროც დადგა

ერი ბრენდეგი აირჩიეს, და 1972 წელს (ლორდი კილანინის კონკურენტი). იგი პროფესიულ ბანკირია და წლების განმავლობაში სოკოს ფინანსებს განაგებდა, ამავე დროს, საფრანგეთის ევროპული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი იყო. ბომონის გადაწყვეტილება, მისივე განცხადებით, საბოლოოა. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ამ ოლიმპიურ მოღვაწეს სულ ახლახან 87 წელი შეუსრულდა.

ჯარ ტაისონი, მერა — ლეონარდი

ადგილზე გავიდა რეი შუგარი ლეონარდი — მსოფლიოს ჩემპიონი ქვემძიმე წონაში. გამოვლინდა აგრეთვე ყველაზე მიმზიდველი და სანახაობრივად საინტერესო მატჩი მსოფლიო პირველობაზე. სპეციალისტებმა უპირატესობა აქ 1988 წლის ბრძოლას მიანიჭეს ტაისონსა და სპინკს შორის.

მოკრივეთა მსოფლიო საბჭომ — ამ სახეობის პროფესიონალ სპორტსმენთა ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა და ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ ბოლო ათწლეულის საუკეთესო მოკრივედ გამოაცხადა მაიკ ტაისონი, რომელიც წლებადამდე მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელს ატარებდა. მეორე

კ. ბასკოვი კვლავ „დინამოში“

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის შეხვედრა მოსკოვის „დინამოსა“ და დუშანბეს „პა-მირს“ შორის, რომელიც 25 სექტემბერს შედგა მოსკოვში, დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით, ანგარიშით 2:1.

მოსკოვის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად სულ ახლახან კვლავ დანიშნა სპორტის დამსახურებული ოსტატი, დამსახურებული მწვრთნელი კონსტანტინე ბესკოვი, რომელიც მოსკოვის „სპარტაკიდან“ წასვლის შემდეგ სპორტ-საზოგადოება „დინამოს“ მთავარი საფეხბურთო სპეციალისტის

თანამდებობაზე მიწავიბოდა. მოსკოვის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად კ. ბესკოვის მიწვევაზე თანხმობა განაცხადეს ცნობილმა დინამოელმა სპეციალისტებმა: მ. იაკუშინმა, ვ. ცარიოვმა, გ. სოლოვიოვმა, ნ. ტოლსტინმა და სხვებმა. კ. ბესკოვი დიდხანს თვითონ გამოდიოდა მოსკოვის „დინამოში“, შემდეგ მისი უფროსი მწვრთნელიც იყო. მას შემდეგ, რაც გუნდი დატოვა ა. ბიშოვიცმა, რომელიც სსრ კავშირის ნაკრების ხელმძღვანელი გახდა, კ. ბესკოვი დათანხმდა დინამოელთა მწვრთნელობაზე.

„რანგ-ლისტი“

აზუსტად ღია ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა უახლესი „რანგ-ლისტი“ ვაჟებისათვის, რომელიც ასე გამოიყურება:

1. სტეფან ედბერგი (შვედია) — 3195 ქულა, 2. ბორის ბეკერი (გერმ) — 2665, 3. ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — 2567, 4. ანდრე აგასი (აშშ) — 2292, 5. ანდრეს გომესი (ეკვადორი) — 1949, 6. პატ სამპრასი (აშშ) — 1718, 7. თომას მუსტერი (ავსტრია) — 1638, 8. ემი-

დღეისათვის

ლოი სანჩესი (ესპანეთი) — 1552, 9. ბრედ ჯილბერტი (აშშ) — 1512, 10. აარონ კრაჭტეინი (აშშ) — 1372, 11. ჯონ მაკბროუ (აშშ) — 1289, 12. მაიკლ ჩანგი (აშშ) 1285, — 13. ანდრეი ჩენსოკოვი (საბჭოთა კავშირი) — 1285, 14. გორან იანიშევიჩი (იუგოსლავია) — 1231, 15. გილერმო პერეს-როლდანი (არგენტინა) — 1182 და ა. შ.

რედაქტორი

თენგიზ ბაჩაილიაძე

თბილისის „შეგარდენის“ სტალინი (ხმელნიცის ქ. № 40) 27 სექტემბერი

ფანჯურით

საპარტაშორისო აზხანაპური შატრი

„მრეტები“ (თბილისი) — ტექსტის ნაკრები (მოლანდია) დასაწყისი 16 საათსა და 30 წუთზე.

საქართველოს სპორტსპეციალური, საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია, ტანვარჯიშის განყოფილება თანაგრძობის უცხადებენ რეპაბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს სპორტულ ტანვარჯიშში ვაჟა ხაბეიშვილს მისი „პარამ ხაბეიშვილის“ გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი რეზა პარანაძე და ჩამომარს უცხადებს განხვენულის ოჯახს.

„სპორტპროგნოზი“, 40-ე ტირაჟის პროგრამა (5-7 ოქტომბერი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიხიან პოკაიში (შხალდენი ლიგა)	პროგნოზი
1. „დინამო“ (რიგა) — „დინამო“ (მინსკი)	5.X 60 30 10
2. „ტორპედო“ (იაროსლავლი) — „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი)	5.X 10. 40 50
3. „ტორპედო“ (უსტ-კამენოგორსკი) — „კრილია სვეტოვი“ (მოსკოვი)	5.X 10 30 60
4. „იტალი“ (ყაზანი) — „ტრაქტორი“ (ჩელიაბინსკი)	7.X 70 20 10
5. ასკ (ლენინგრადი) — „დინამო“ (მინსკი)	7.X 60 20 20
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფანჯურითი (შხალდენი ლიგა)	
6. „პამირი“ (დუშანბე) — „ტორპედო“ (მოსკოვი)	7.X 20 40 40
7. „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „შანტორი“ (დონეცკი)	7.X 40 50 10
8. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	7.X 10. 50 40
9. „დინამო“ (კიევი) — ცსკა	7.X 40 50 10
10. „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მინსკი)	7.X 50 30 20
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფანჯურითი (პირველი ლიგა)	
11. „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	7.X 40 50 10
12. „კაირატი“ (ალმა-ათა) — „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი)	7.X 20 60 20
13. „კუზნეცის“ (კემეროვო) — „დინამო“ (სტავროპოლი)	7.X 40 50 10

საქართველოს ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქართველოს კ. ცკ-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა. 8800098, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით სავაჭრო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ქორჭია. კორექტორები მ. ძეძიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380000, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპაშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 92-97-55, სამდივნო — 92-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 92-97-54, „მერანი“ — 92-97-20, „მარტვი“ — 92-97-27.

88050 052330: 88485

საქართველოს კ. ცკ-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა. 8800098, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით სავაჭრო კორპუსში: ხოშარაულის, 29.